ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1055513

ნომერი: AR1183397

თარიღი : 09.12.2013

გაცემის თარიღი : 25.12.2013

გაცნობის თარიღი : 31.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკური , N 31 ;

თბილისი დ. წყნეთი შ.რუსთაველის ქ. N 28

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01023000419

ორგანიზაცია:

- შპს ,,იბერია 2012" კოდი: 404927228

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 09.12.2013 წ. #AR1183397 განცხადებით მომართა შპს „იბერია 2012“-ის დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ და მოითხოვა 19.04.2010 წ. #527 მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ #01.10.13.035.001 (423 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე

სასტუმროს ასაშენებლად დამტკიცდა #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა–1. აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია სასტუმროს მშენებლობა.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882013315163, მომზადების თარიღი: 10.07.2013წ. საკადასტრო კოდი: #01.10.13.035.001, ფართობი: 423 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882013315163, მომზადების თარიღი: 10.07.2013წ. საკადასტრო კოდი: #01. 10.13.035.001, ფართობი: 423 კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 423 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.10.13.035.001;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #527 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის საქალაქო სასამართლო
მოქალაქეთა მისაღები
სარეგისტრაციო № 386715 ფურცელთა რაოდენობა 35
თარიღი 06/12/2013 წ. დრო 02
ხელმოწერა
ქ. თბილისი, 0131 დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. № 6 ტელ: (+995 32) 251 02 42
www.court.ge www.tcc.gov.ge

თბილისის საქალაქო სასამართლო

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

რჩელი
აციულ საქმეზე

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: *შენიშვნა-1*

შპს "იბერია 2012"-ის დირექტორი, აკაკი ჩხაიძე	01023000419	ქ. თბილისი, კრწანისის 1 შეს. სახლი N7
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*
		ქ. თბილისი, კრწანისის 1 შეს. სახლი N7
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
	597777755	
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ. მობილური	ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ. მობილური	ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: *შენიშვნა-5*

ქ. თბილისის მერია		ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
	2722222	
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ. მობილური	ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

გიორგი ჩხაიძე		577755555	
სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

საზით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-9

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საგანი

შენიშვნა-11

ქ. თბილისის მერიის მიერ 2013 წლის 22 ივლისს მიღებული N000285 დადგენილების ბათილად ცნობა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე და 2013 წლის 11 ნოემბრის N2568 განკარგულების ბათილად ცნობა ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

2013 წლის 22 ივლისს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება N000285 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, რომლის ძალითაც შპს "იბერია 2012" დაჯარიმდა 4000 ლარით, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის.აღნიშნულ დადგენილებაში დარღვევას წარმოადგენდა შიდა კიბის საფეხურების კონფიგურაცია და წითელი ხაზების მოწესრიგება მეზობელი მიწის ნაკვეთის საზღვრებთან.დადგენილება მოსარჩელეს ჩაბარდა 2013წ. 6 აგვისტოს.მისი გასაჩივრება კანონით დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა შემდეგ გარემოებათა გამო:2013 წლის 22 ივლისს მიღებული დადგენილება N000285-ის საფუძველზე მხარეს უნდა გამოესწორებინა შიდა კიბის საფეხურების კონფიგურაცია და მოეწესრიგებინა წითელი ხაზები.შიდა კიბის საფეხურების კონფიგურაცია მოწესრიგებულ იქნა,თუმცა მეზობელ წითელ ხაზებთან მიმართებაში,როდესაც მოსარჩელემ ჩაატარა ახალი აზომვითი სამუშაოები და მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს,მას შეუჩერეს სარეგისტრაციო წარმოება,ვიდრე არ იქნებოდა დასრულებული მეზობელ ნაკვეთზე მიმდინარე სარეგისტრაციო პროცედურები.კერძოდ,2013 წლის 5 ივლისს მოსარჩელემ და ი.მ.ა "აკურის N27,29,33 ალმასიანის N34, 40,42,46", რომლის უძრავი ქონება მდებაროებს მოსარჩელეს უძრავი ქონების მეზობლად და რომლის წითელი ხაზებიც იჭრებოდა მოსარჩელეს წითელ ხაზებში, მიმართეს სარეგისტრაციო სამსახურს უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით.აღნიშნული წარმოებები შეჩერებულ იქნა N882013315163-03 და N882013315205-03 გადაწყვეტილებებით, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, ი.მ.ა "აკურის N27,29,33 ალმასიანის N34, 40,42,46" უძრავ ქონებაზე ფ/პ ნუნუ ყანჩაველს 25 ივნისს მოთხოვნილი ჰქონდა ყადაღის წარმოშობის რეგისტრაცია.სარეგისტრაციო სამსახურის 26 ივნისის N102013165664/3 გადაწყვეტილების თანახმად,ყადაღის წარმოშობის რეგისტრაცია შეჩერებულ იქნა,ვინაიდან განცხადებას არ ერთვოდა საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.2013 წლის 1 აგვისტოს N882013315205-06 გადაწყვეტილების თანახმად,სარეგისტრაციო სამსახურმა ი.მ.ა

"აკურის N27,29,33 ალმასიანის N34, 40,42,46"-ის 5 ივლისის შეტანილი განცხადების საფუძველზე წარმოება შეაჩერა,ვინაიდან უძრავ ქონებაზე არსებობდა ყადაღის დადების მოთხოვნით მიმდინარე წარმოება (საქმე N892012110647) და ამასთან,განცხადებას არ ახლდა წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი,საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ელ.ვერსია. 2013 წლის 8 აგვისტოს ი.მ.ა "აკურის N27,29,33 ალმასიანის N34, 40,42,46"-მა კვლავ მიმართა სარეგისტრაციო სამსხურს და წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და მხოლოდ 19 აგვისტოს N882013315205-10 გადაწყვეტილების საფუძველზე დაკმაყოფილდა მოთხოვნა წითელი ხაზების შესწორების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ამასთან, 2013 წლის 18 ივლისის დადგენილება N000244-ის თანახმად, მოსარჩელე "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გათავისუფლებული იქნა სამმაგი ოდენობის ჯარიმის გადახდის ვალდებულებისგან. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შეჩერებული წარმოების გამო, მოსარჩელემ ვერ შეძლო შესაბამისი დოკუმენტაციისა და საჩივრის წარდგენა ქ. თბილისის მერიაში, ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2013 წლის N000285 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე და 2013 წლის 11 ნოემბრის N2568 განკარგულება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

1. ფაქტობრივი გარემოება

ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე 2013 წლის 22 ივლისს მიღებული N000285 დადგენილები საფუძველზე დაჯარიმებულ იქნა 4.000 ლარის ოდენობით, დასტურდება ზემოთ აღნიშნული დადგენილების ასლით, წინამდებარე სარჩელის დანართი N1-ით;

მტკიცებულება:

ა. (დანართი 1) 2013 წლის 22 ივლისის N000285 დადგენილება - 3ფ;

2. ფაქტობრივი გარემოება

ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, დასტურდება ქ. თბილისის მერიის მიერ 2013 წლის 11 ნოემბრის N2568 განკარგულებით, წინამდებარე სარჩელის დანართი N2-ით;

მტკიცებულება:

ა. (დანართი 2) 2013 წლის 11 ნოემბრის 2568 განკარგულება - 3ფ;

3. ფაქტობრივი გარემოება

ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სარეგისტრაციო წარმოებები შეჩერებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, დასტურდება ჩვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, წინამდებარე სარჩელის დანართი N3-ით;

მტკიცებულება:

ა. (დანართი 3) სარეგისტრაციო დოკუმენტაცია - 9ფ;

4. ფაქტობრივი გარემოება

ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2013 წლის 18 ივლისის დადგენილება N000244-ის თანახმად მოსარჩელე "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გათავისუფლებული იქნა სამმაგი ოდენობის ჯარიმის გადახდის ვალდებულებისგან, დასტურდება წინამდებარე სარჩელის დანართი N4-ით;

მტკიცებულება:

ა. (დანართი 4) 2013 წლის 18 ივლისის დადგენილება N000244 - 3ფ;

5. ფაქტობრივი გარემოება

ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელეს მიერ წითელ ხაზებთან დაკავშირებით აღმოფხვრილი იქნა პრობლემა და მან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ იმის გამო, რომ მიმდინარეობდა სარეგისტრაციო წარმოებები და დადგენილ ვადაში ვერ შეძლო ადმინისტრაციული საჩივრისა და საკმარისი მტკიცებულებების წარდგენა ქ. თბილისის მერიაში, დასტურდება წინამდებარე სარჩელის დანართი N3-ით და დანართი N5-ით ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, თანდართული უძრავი ქონების საკადასტრო გეგმით;

მტკიცებულება:

ა. (დანართი 5) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და უძრავი ქონების საკადასტრო გეგმა - 2ფ;

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის მიერ 2013 წლის 22 ივლისს მიღებული N000285 დადგენილება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი 2013 წლის 11 ნოემბრის N2568 განკარგულება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

სარჩელის ფასი — 100 ლარი
შენიშვნა-25

სახელმწიფო ბაჟი — 100 ლარი
შენიშვნა-26

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ	☒	მტკიცებულება: სარჩელში მოყვანილი თანდართული მასალები
არა	☐	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☒	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე | დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

დანართი 1 - 2013 წლის 22 ივლისის N000285 დადგენილება - 3ფ;
დანართი 2 - 2013 წლის 11 ნოემბრის N2568 განკარგულება - 3ფ;
დანართი 3 - სარეგისტრაციო დოკუმენტაცია - 9ფ;
დანართი 4 - 2013 წლის 18 ივლისის დადგენილება N000244 - 3ფ;
დანართი 5 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და უძრავი ქონების საკადასტრო გეგმა - 2ფ;

ფურცლების საერთო რაოდენობა: სარჩელი და დანართები, სულ - 32ფ.

სარჩჱლის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☐	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
☐	☐ *ხარვეზის წამოწყების*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	აკაკი ჩხაიძე	6 დეკემბერი, 2013 წელი
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შე სების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.